ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი **2013 წლის 3 ივნისი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 21 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მესხორაძე გიორგი 4. გეგეჭკორი არნოლდი 5. ელიაშვილი მერაბი 6. ომანაძე როლანდი 7. კერესელიძე დავითი 8. კვერენჩხილაძე გიორგი 9. ბენდელიანი ბექა 10. პაპაშვილი თამარი 11. თურქიაშვილი შორენა 12. მაცაბერიძე მალხაზი 13. შამილიშვილი მანანა 14. წერეთელი მარი 15. ბარამიძე ცირა 16. ბახტაძე მიხეილი 17. ბრაჭული ირაკლი 18. გელოვანი ნანი 19. ლორია კახაბერი 20. პაიჭაძე თამარი 21. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. დავითაშვილი ზურაბი 4. გერსამია მარიამი 5. ნადარაია ელიზბარი 6. კოპალეიშვილი მაია 7. სურგულაძე ნუგზარი 8. მარშავა ქეთევანი (დანართი 2)

დღის წესრიგი

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთათვის უფლებამოსილების შეწყვეტა.

2. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის საკითხი.

3. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების იჯარით გაცემის საკითხი.

4. „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №60/2013 დადგენილების დამტკიცება.

5. ,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის №33/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 2012 წლის 3 ივნისის №66/2013 დადგენილების დამტკიცება.

6. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევის წესისა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესის დამტკიცება.

7. სხვადასხვა.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს აპარატის უფროსმა, დიმიტრი გეგენავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ინფორმაცია საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ და აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვისა და პერსონალის მართვის დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს: ნინო ცინცაძეს, გიორგი კარტოზიასა და გივი ჭლიკაძეს შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი, ხოლო ზურაბ ფაღავა და მანანა ხაჩიძე აღარ არიან აკადემიურ თანამდებობაზე. აქედან გამომდინარე, თსუ–ის წესდების თანახმად, ისინი ვეღარ ჩაითვლებიან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებად. პროცედურის დასასრულებლად აუცილებელია წარმომადგენლობითმა საბჭომ ცნოს მათი უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ნინო ცინცაძეს, გივი ჭლიკაძეს, გიორგი კარტოზიას, ზურაბ ფაღავასა და მანანა ხაჩიძეს შეუწყდეთ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი.

2. თსუ–ის საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმოადგინა უნივერსიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი და აღნიშნა, რომ ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია: ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტების დაფინანსებითა (ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა 70-მდე სამეცნიერო პროექტი) და ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსების ზრდით. შემოსავლების ზრდამ განაპირობა ხარჯების დაზუსტება, კერძოდ, ,,ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების‘‘ ასიგნებების ფარგლებში, მთლიანი ასიგნებანი გაიზარდა 41,9%-ით, ხოლო ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს“ – 38,9%-ით, რამაც ასახვა ჰპოვა უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ,,ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების‘‘ ასიგნებების ყველა მუხლში, ხოლო ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს“, სხვა ხარჯების მუხლში. აღნიშნულის გარდა, გაიზარდა ,,სასწავლო,

სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის“ ხარჯი (ზრდა 3,3%): ,,შრომის ანაზღაურების‘‘, ,,საქონელი და მომსახურების“, ,,არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებში და ,,სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის“ პროგრამის (ზრდა 0.5%): ,,საქონელი და მომსახურების“, ,,არაფინანსური აქტივების ზრდის“, მუხლებში. აღნიშნული განხორციელდა უნივერსიტეტის ბიუჯეტში გაწერილი გარდამავალი ნაშთის შემცირების ხარჯზე.

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 63-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2013 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოზე შეთანხმების შემდგომ საჭიროებს რეგენტთა საბჭოზე დასამტკიცებლად წარდგენას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს თსუ–ის 2013 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი (დანართი 3.)

3. თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ქონების იჯარით გაცემის საკითხი და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში იგეგმება ე,წ, „ფეი ბოქსების“ დადგმა. მსგავსი აპარატების უნივერსიტეტში არსებობა დიდად დაეხმარება სტუდენტებსა და პროფესორებს. ასევე, დაგეგმილია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე ავტოსკოლისათვის ფართის გამოყოფა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა შემდეგი ფართის იჯარით გაცემაზე: 1. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე ნაკვეთის (06/020) ნაწილზე (ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორია) არსებული ღია ტერიტორია, ფართით 702 კვ.მ. (39X18) და უნივერსიტეტის XI (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსში დაუტვირთავი 36 კვ.მ. ფართის მქონე ოთახი - ავტოსკოლის ფუნქციონირებისათვის. 2. უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ სხვადასხვა კორპუსში არსებული უძრავი ქონების (ფართის) ნაწილი - სწრაფი გადახდის

ტერმინალების ფუნქციონირებისათვის: ა) უნივერსიტეტის ქ. N2, მე-10 (მაღლივი) სასწავლო კორპუსის პირველი სართულის ფოიე (ქსეროქსის აპარატის გვერდით), მე-6 სართულის ფოიე (კიბის უჯრედი) - 1 (ერთი) კვ.მ.; ბ) უნივერსიტეტის ქ. N13, მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსის პირველი სართულის ფოიე (მარჯვენა მხარეს) და მე-4 სართულის ფოიე (მარცხენა მხარეს) - 1 (ერთი) კვ.მ.; გ) ი. ჭავჭავაძის გამზირი N36, მე-5 სასწავლო კორპუსის ფოიე (მარჯვენა მხარეს) - 1 (ერთი) კვ.მ.; დ) ი. ჭავჭავაძის გამზირი N13, მე-8 სასწავლო კორპუსის პირველი სართულის ფოიე (მარჯვენა მხარეს) - 1 (ერთი) კვ.მ.; ე) ი. ჭავჭავაძის გამზირი N14, მე-4 სასწავლო კორპუსის ფოიე მე-3 სართულის (მარჯვენა მხარეს) - 1 (ერთი) კვ.მ.; ვ) ი. ჭავჭავაძის გამზირი N8, მე-6 სასწავლო კორპუსის ფოიე (მარჯვენა მხარეს) - 1 (ერთი) კვ.მ.; ზ) ი. ჭავჭავაძის გამზირი N1, პირველი სასწავლო კორპუსის ნულოვანი სართული (გარდერობის წინ) - 1 (ერთი) კვ.მ.; თ) ი. ჭავჭავაძის გამზირი N3, მე-2 სასწავლო კორპუსის პირველი სართულის ფოიე (მარცხენა მხარეს) - 1 (ერთი) კვ.მ.; ი) ქ. წამებულის გამზირი N55 (ყოფილი თეუსუ), პირველი სართულის ფოიე (მარცხენა მხარეს) - 1 (ერთი) კვ.მ.

4. თსუ–ის რექტორმა, ბატონმა ალექსანდრე კვიტაშვილმა წარმოადგინა „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №60/2013 დადგენილება. რექტორის განცხადებით, აკადემიურმა საბჭომ მოიწონა მსგავსი სკოლის შექმნის იდეა. რამდენიმე ხნის წინ მსგავსი პროექტი ჩატარდა სხვა უნივერსიტეტის ბაზაზე და მასში მონაწილეთა უმრავლესობა თსუ–ის სტუდენტი იყო. პროექტი ძალზედ პოპულარულია და უნივერსიტეტის მხრიდან რაიმე დამატებითი ფინანსების გამოყოფას არ საჭიროებს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ცირა ბარამიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №60/2013 დადგენილება. (დანართი 4)

5. თსუ–ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს წევრებს გააცნო ,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის №33/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 2012 წლის 3 ივნისის №66/2013 დადგენილება. არჩილ კუკულავას განმარტებით, ცვლილებით ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შემადგენლობაში შევა ქუთაისში მდებარე უნივერსიტეტის კუთვნილი რამდენიმე შენობა. ინსტიტუტი შეძლებს რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ქალაქ ქუთაისშიც.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: გიორგი კვერენჩხილაძემ და ცირა ბარამიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის №33/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 2012 წლის 3 ივნისის №66/2013 დადგენილება (დანართი 5)

6. თსუ–ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული ორი პროექტი, რომელთაგან ერთი აკადემიური საბჭოს, ხოლო მეორე – წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებს ეხება. მისი განმარტებით, წარმოდგენილ პროექტებში გაიმართა და დაზუსტდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ტექნიკური გარემოება. პროექტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის წესდებასა და სამართლებრივ აქტებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს . ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევის წესი. (დანართი 6) 2.

დამტკიცდეს . ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი. (დანართი 7)

7. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ქალბატონი ცირა ბარამიძე დაინტერესდა, იგეგმება თუ არა უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისათვის ხელფასების მატება. როგორც ცნობილია, გარკვეული მიმართულებები პრიორიტეტული გახდა, გაიზარდა დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა, შესაბამისად, აუცილებელია ეს ყოველივე აისახოს პროფესორთა ანაზღაურებაზეც.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის ფაკულტეტების ნაწილმა მართლაც მოახერხა, რომ მათი შემოსავლები გაუტოლდა ხარჯებს, თუმცა ძირითადი დატვირთვა ისევ იურიდიულ, ეკონომიკისა და ბიზნესის და ნაწილობრივ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე მოდის, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვა ფაკულტეტების დაფინანსებასაც. უნივერსიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია, თუმცა 2000-მდე სტუდენტმა შეიჩერა სტატუსი სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, რაც პირდაპირ უნივერსიტეტის ბიუჯეტს აწვება. შემდეგი საბიუჯეტო წლიდან სახელმწიფო დაფინანსებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით კვლავაც გადაიხედება პროფესორთა ანაზღაურება.

საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს
აპარატის უფროსი: დ. გეგენავა

დანართი 1

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2013 წლის 3 ივნისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩანკვეტური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიავშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ოქუნაძე ოთარანდი
- ხანიძე მანანა

- [illegible] დავითი

სტუდენტები:

- [illegible] ვახტანგი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- [illegible] გიორგი
- [illegible] გიორგი

სტუდენტები:

- [illegible] ბექა
- [illegible] თამარი
- [illegible]

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- [illegible] გიორგი
- [illegible] ვლადიმერი
- [illegible] ზურაბი

სტუდენტები:

- [illegible]

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- [illegible] შორენა
- [illegible] ძალხაზი
- [illegible] მანანა
- [illegible]

სტუდენტები:

- [illegible] კონსტანტინე
- [illegible] ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- [illegible] კვირა
- [illegible] მიხეილი
- [illegible] ირაკლი
- [illegible]
- [illegible]
- [illegible] კახაბერი
- [illegible]

სტუდენტები:

- [illegible]
- [illegible]

- ულა ხიდეშელი

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გიორგი ნაჭვალიანი ჯურაბი

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2013 წლის 3 ივნისი

- კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- მანაგაძე ლავრენტი

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2013 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი

დასახელება	ლარი
შემოსავლები	**69 711 586,0**
ნაშთი პერიოდის დასაწყისში (ეროვნული და საერთაშორისო გრანტების ჩათვლით)	**14 248 733,0**
სწავლის საფასური	**42 535 746,0**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება	**4 787 150,0**
მ.შ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	**3 938 000,0**
მ.შ. სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს	**849 150,0**
სამეცნიერო - კვლევითი გრანტები	**7 539 957,0**
მ.შ.ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	**5 620 748,0**
მ.შ. საერთაშორისო გრანტები	**1 919 209,0**
კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები	**600 000,0**
მ.შ. ეკონომიკური საქმიანობა	**600 000,0**
მთლიანი ასიგნება (ნაერთი)	
სულ ასიგნება	**66541137**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	**2800**
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	**2453**
ხარჯები	**64944514**
შრომის ანაზღაურება	**25765014**
საქონელი და მომსახურება	**34514750**
გრანტები	**1300000**
სხვა ხარჯები	**3364750**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1596623**
ვალდებულებების კლება	
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**3170449**
მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა	
სულ ასიგნება	**49 110 849,0**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	**1 560**
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	**2 300**
ხარჯები	**48 395 699,0**
შრომის ანაზღაურება	**22 319 312,0**
საქონელი და მომსახურება	**23 798 787,0**
გრანტები	
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	2 277 600,0

არაფინანსური აქტივების ზრდა	**715 150,0**
ვალდებულებების კლება	
მათ შორის: სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა	
სულ ასიგნება	**4 931 883,0**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	**1 240**
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	**153**
ხარჯები	**4 869 289,0**
შრომის ანაზღაურება	**3 445 702,0**
საქონელი და მომსახურება	**1 423 587,0**
გრანტები	
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	
არაფინანსური აქტივების ზრდა	**62 594,0**
ვალდებულებების კლება	
მათ შორის: ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''	
სულ ასიგნება	**849 150,0**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	
ხარჯები	**849 150,0**
შრომის ანაზღაურება	
საქონელი და მომსახურება	
გრანტები	
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	849 150,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	
ვალდებულებების კლება	
მათ შორის: ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტები	
სულ ასიგნება	**11 649 255,0**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	
ხარჯები	**10 830 376,1**
შრომის ანაზღაურება	
საქონელი და მომსახურება	**9 292 376,1**
გრანტები	1 300 000,0
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	238 000,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	**818 878,9**
ვალდებულებების კლება	
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**3 170 449,0**

დადგენილება №60/2013
29 აპრილი, 2013

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №220/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის „ქ" და „ჩ" ქვეპუნქტების, მე–17 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც" და „ხ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული – ლიდერთა სკოლა".
2. დამტკიცდეს „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – ლიდერთა სკოლის" დებულება (დანართი №1).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

<u>დანართი 1</u>

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის ლიდერთა სკოლის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიდერთა სკოლა (შემდგომში - ,,სკოლა“) წარმოადგენს ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს.
2. სკოლის სახელწოდება ინგლისურ ენაზე არის - Tbilisi State University School for Leadership.
3. სკოლა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე.
4. სკოლას აქვს ტიტულიანი ბლანკი უნივერსიტეტის ლოგოთი, ბეჭედი, ასევე საბანკო ქვეანგარიში.

მუხლი 2. სკოლის მიზნები, ამოცანები და საქმიანობა

1. სკოლის მიზნებია:

ა) თანამედროვე ბიზნესისა და გლობალური ეკონომიკის გარემოში ბიზნეს ორგანიზაციისა თუ მთლიანად საზოგადოების კონკურენტუნარიანი უპირატესობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიული ორგანიზებულობის მქონე კადრებისა და მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება-განვითარება;

ბ) ეფექტური სისტემის შექმნა საბაზისო სასწავლო უნარ-ჩვევებში კომპეტენტურობისა, მაღალი მიღწევებისათვის სტუდენტების მომზადების უზრუნველსაყოფად;

გ) სტუდენტთა ხელშეწყობა სწორი კარიერული და პიროვნული ორიენტირის არჩევა- განსაზღვრაში, პიროვნული ეფექტიანობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება - დახვეწაში;

დ) საქართველოში ისეთი საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელიც ორიენტირებული იქნება განუწყვეტელ სწავლაზე, ცოდნის შეძენა - გაფართოებაზე, აქტიურ, ჯანსაღ მოქალაქეობაზე.

2. სკოლის ამოცანებია:

ა) თავისი მიზნების განხორციელებისათვის კორპორაციული და ორგანიზებული სპონსორების მოზიდვა, მათთან ერთად შესაბამისი ღონისძიებების გამართვა;
ბ) საქართველოში სტუმრად მყოფი გამოჩენილი ადამიანების მოწვევა, მათი ლექციების ჩატარების უზრუნველყოფა, უნივერსიტეტთან დაკავშირება, მათთან თანამშრომლობის განხორციელების ორგანიზება;
გ) დასახული მიზნების მიღწებისათვის უზრუნველყოს სკოლის მსმენელთათვის გადაწყვეტილების მიღების ხელოვნების, ანალიტიკური აზროვნების, კონფლიქტის განმუხტვის, გუნდურ გარემოში ოპერირების, პრობლემების მკაფიოდ ჩამოყალიბება-გადაჭრის, კრიტიკული ამოცანის დასახვის, წინამძღოლობის უნარების გამომუშავების გზით;
დ) უზრნველყოს მოზარდთა, სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, ორგანიზაციებისთვის კორპორაციული მართვის, სამთავრობო სტრუქტურების მომზადების, სახელმწიფო ადმინისტრირებისა და მართვის სტრატეგიულ მიმართულებების პროგრამების ფუნქციონირება;

მუხლი 3. სკოლის სტრუქტურა
სკოლას მართავს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

მუხლი 4. სკოლის ხელმძღვანელი
1. სკოლის ხელმძღვანელი მართავს და განსაზღვრავს სკოლის მუშაობის კონცეპტუალურ საკითხებსა და ძირითად მიმართულებებს.
2. სკოლის ხელმძღვანელი:
ა) უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რაც ფორმდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით.
ბ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით იყენებს მოზიდულ სახსრებს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, სასწავლო პროცესის სრულყოფისა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისებისთვის.
გ) განსაზღვრავს სკოლის პერსონალის უფლება-მოვალეობებს, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება ამ პერსონალის შრომით ხელშეკრულებებში.
დ) აკეთებს წარდგინებას რექტორის წინაშე სკოლის მიერ შედგენილი საგანმანათლებლო პროგრამების უნივერსიტეტში დადგენილი წესით დამტკიცების, ასევე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე - სკოლის მიერ განსახორციელებელი შესაბამისი პროგრამების სწავლის საფასურის ოდენობას დამტკიცებასთან დაკავშირებით.
3. სკოლის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე.

მუხლი 5. სკოლის დაფინანსება

სკოლის დაფინანსების წყაროები შესაძლებელია იყოს:

ა) სკოლის მიერ მოპოვებული საპროექტო, საგრანტო, საკონკურსო და სხვა დაფინანსება;

ბ) სახელმეკრულებო საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული მიზნობრივი სახსრები;

გ) მიზნობრივი შემოწირულობები;

დ) კანონმდებლობით აუკრძალავი სხვა დაფინანსება.

მუხლი 6. სკოლის ქონება

თავისი მიზნების განხორციელებისათვის სკოლა სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავ-მოძრავი ქონებით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. სკოლის გარდაქმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სკოლის გარდაქმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №3, დანართი 5.

დადგენილება №66/2013
3 ივნისი, 2013

„ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის №33/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №220/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის „ქ" და „ჩ" ქვეპუნქტების, მე–17 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც" და „ხ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის №33/2013 დადგენილების დანართი N1-ით დამტკიცებულ „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის" დებულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

ა) დებულების 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში, 0186 თბილისი; ვაჟა-ფშაველას გამზირი N44-ში, 0179 თბილისი და ნიკეას მე-2 შესახვევი N8-ში, 0431 ქუთაისი.".

ბ) დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ინსტიტუტის შიდა სტრუქტურული ერთეულებია:
ა) ტურიზმის საერთაშორისო სკოლა;
ბ) ტურიზმის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი;
გ) პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრი;
დ) ინსტიტუტის რეგიონული ცენტრი;
ე) ინსტიტუტის ხელმძღვანელის აპარატი."

გ) დებულების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 8. პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრი
1. პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრი წარმოადგენს ინსტიტუტის სტრუქტურულ სასწავლო – საგანმანათლებლო ერთეულს.
2. პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის მიზანია თანამედროვე მოთხოვნადი პროფესიული და მოკლევადიანი გადასამზადებელი პროგრამებით სწავლების უნივერსიტეტში დადგენილი წესით ორგანიზება და განხორციელება.
3. პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის ამოცანაა ტურიზმის ეროვნული ინდუსტრიისათვის აუცილებელი მაღალკვალიფიციური და სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება.
4. პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი.
5. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრისათვის განსაზღვრული თანამდებობაა პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის დირექტორი.
6. პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის განთავსებულია უნივერსიტეტის ქუჩა N2- ში, 0186 თბილისი.".

დ) დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 მუხლი:
„მუხლი 8^1. ინსტიტუტის რეგიონული ცენტრი
1. ინსტიტუტის რეგიონული ცენტრი (შემდგომში - რეგიონული ცენტრი) წარმოადგენს ინსტიტუტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. რეგიონული ცენტრის ფუნქციას წარმოადგენს ინსტიტუტის წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და

საქმიანობის რეგიონული ცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე (ქ. ქუთაისი) განხორციელება.
3. ინსტიტუტის დებულებით განსაზღვრული კონკრეტული საქმიანობის რეგიონული ცენტრში განხორციელება განისაზღვრება ინსტიტუტის ხელმძღვანელის ბრძანებით.
4. რეგიონული ცენტრი სტრუქტურას შეადგენს:
ა) რეგიონული ცენტრის დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს რეგიონულ ცენტრის საქმიანობას;
ბ) რეგიონული ცენტრის ადმინისტრაციული და მატერიალური მართვის სამსახური;
გ) უნივერსიტეტის საშტატო განრიგით რეგიონული ცენტრისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: რეგიონული ცენტრის დირექტორი, რეგიონული ცენტრის ადმინისტრაციული და მატერიალური მართვის სამსახურის უფროსი, რეგიონული ცენტრის მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი.
5. რეგიონული ცენტრი განთავსებულია ნიკეას მე-2 შესახვევი N8-ში, 0431 ქუთაისი.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

4. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №3, დანართი 6.

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესი

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესი (დანართი №1);
2. დამტკიცდეს ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესი (დანართი №2);

<u>დანართი №1</u>

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესი

მუხლი 1. არჩევნების გამოცხადება

1. (ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. რექტორის სამართლებრივი აქტი აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების შესახებ უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.

მუხლი 2. საარჩევნო კომისია და მისი უფლებამოსილება

1. არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
2. საარჩევნო კომისია შედგება 9 წევრისაგან. საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

3. არჩევნების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე საარჩევნო კომისიაში შესაძლებელია შეყვანილი იქნას სტუდენტური თვითმმართველობისა და არჩევნების ორგანიზებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.
4. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. კომისია ვალდებულია, არჩევნები ჩაატაროს უნივერსიტეტის წესდებისა და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 3. კომისიის თანამდებობის პირები

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისივე შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.
2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა უფლებამოსილებებს.
3. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპოდენციას, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს, ადგენს არჩევნების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხვა წევრები ამ წესით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად შესაძლებელია იღებდნენ ანაზღაურებას.

მუხლი 4. თანამდებობრივი შეუთავსებლობა

საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირი, აგრეთვე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.

მუხლი 5. არჩევნების ჩატარება

1. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ხმის უფლების მქონე სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების საშტატო ნუსხის 1/4-ით. დამრგვალება ხდება სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.
3. აკადემიურ საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან აირჩევა 2 წარმომადგენელი. არჩეულად ითვლება კენჭისყრის მიხედვით ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.
4. იმ შემთხვევაში თუ კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატებმა მიიღეს ხმების თანაბარი ოდენობა და ვერ ხერხდება ორი გამარჯვებულის გამოვლენა, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.
5. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე შესაძლებელია ჩატარდეს არჩევნები. ვაკანტურ ადგილზე პირი აირჩევა მოქმედი აკადემიური საბჭოს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.
6. აკადემიურ საბჭოში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენ ვაკანტური ადგილზეც ტარდება არჩევნები.
7. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა სრული ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ის პირი, რომელსაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა.
8. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შესაძლებელია აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 4 წლით.

მუხლი 6. არჩევნების ორგანიზება და ჩატარების წესი

1. კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
2. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
3. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:
ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;
ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.
4. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებებით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
5. წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს.

მუხლი 7. საარჩევნო სიები

1. საარჩევნო სიებს ამტკიცებს საარჩევნო კომისია პერსონალის მართვის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისა და შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე.
2. ფაკულტეტის საარჩევნო სია გადაეცემა საარჩევნო კომისიას.

მუხლი 8. კანდიდატთა რეგისტრაცია

1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 7 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 1 დღის განმავლობაში.
2. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს გაცნობიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს 1 დღის განმავლობაში.

მუხლი 9. არჩევნების პროცედურა

1. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას ამტკიცებს საარჩევნო კომისია.
2. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
3. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) შესაბამისი ფაკულტეტის სახელწოდება;

ბ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.

4. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე, მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.
5. კენჭისყრის დღეს ფაკულტეტის ამომრჩეველი სარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში, მას შემდეგ, რაც წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველ იმდენ კანდიდატს, რამდენი პირიც არის ასარჩევი, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

მუხლი 10. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა იწყება 10.00 საათზე და მთავრდება იმავე დღეს 17.00 საათზე.

2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან სარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ცალ-ცალკე, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.
3. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტმა.
4. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.
5. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:
ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;
ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;
გ) თუ შემოხაზულია იმაზე მეტი კანდიდატურა, რამდენის არჩევიც უფლებაც ჰქონდა;
დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
6. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:
ა) ფაკულტეტის ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
დ) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
ე) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 11. დამკვირვებელი

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების არა უგვიანეს 3 დღით ადრე მიმართონ დაწესებულების საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.
2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.
3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:
ა) ასარჩევი კანდიდატი;
ბ) ადმინისტრაციული პერსონალი;
გ) იმ ფაკულტეტის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.
4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიის მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრის განხილვის პროცესში. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა.
5. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

6. საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

მუხლი 12. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ დადგენილებით დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;

ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;

ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;

ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;

ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 13. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.

მუხლი 14. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

2. საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

მუხლი 15. საბოლო შედეგების გამოქვეყნება

1. საარჩევნო კომისია არჩევნების შედეეგებს ამტკიცებს შემაჯამებელი აქტით.

2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №3, დანართი 7.

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესი

მუხლი 1. არჩევნების გამოცხადება

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (შემდგომში - სენატი) წევრთა არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. რექტორის სამართლებრივი აქტი სენატის წევრთა არჩევნების შესახებ უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.

მუხლი 2. საარჩევნო კომისია და მისი უფლებამოსილება

1. არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
2. საარჩევნო კომისია შედგება 9 წევრისაგან. საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.
3. არჩევნების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე საარჩევნო კომისიაში შესაძლებელია შეყვანილი იქნას სტუდენტური თვითმმართველობისა და არჩევნების ორგანიზებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.
4. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. კომისია ვალდებულია, არჩევნები ჩაატაროს უნივერსიტეტის წესდებისა და სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 3. კომისიის თანამდებობის პირები

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისივე შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.
2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპოდენციას, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს, ადგენს არჩევნების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხვა წევრები ამ წესით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად შესაძლებელია იღებდნენ ანაზღაურებას.

მუხლი 4. თანამდებობრივი შეუთავსებლობა
საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირი, აგრეთვე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.

მუხლი 5. არჩევნების ჩატარება
1. სენატი აირჩევა 4 წლის ვადით უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ამ ერთეულებზე სენატის არჩევის მომენტში მათი რაოდენობის პროპორციულად. სენატის შემადგენლობაში ასევე შედის აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.
2. სენატის წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.
3. სტუდენტები შეადგენენ სენატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამდს.
4. პროფესორისა და სტუდენტისათვის სენატის წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.
5. სენატის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე შესაძლებელია ჩატარდეს არჩევნები. ვაკანტურ ადგილზე პირი აირჩევა მოქმედი წარმომადგენლობითი საბჭოს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.
6. სენატის შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტების დეკანები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიური საბჭოს წევრები.

მუხლი 7. არჩევნების ორგანიზება და ჩატარების წესი

1. სენატში სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის სტუდენტების ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ფაკულტეტის ყველა სტუდენტი. დოქტორანტი, მათ შორის ასისტენტ-პროფესორი დოქტორანტი არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი.
2. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ყველა პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი, გარდა დოქტორანტისა.
3. სენატში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენ ადგილზეც გამოცხადდა არჩევნები.
4. იმ შემთხვევაში თუ კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატებმა მიიღეს ხმების თანაბარი ოდენობა და ვერ ხერხდება შესაბამისი რაოდენობის გამარჯვებულის გამოვლენა, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.
5. კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
6. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
7. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:
ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;
ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.
8. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებებით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
9. წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს.

მუხლი 8. საარჩევნო სიები

1. საარჩევნო სიებს ამტკიცებს საარჩევნო კომისია პერსონალის მართვის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისა და შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე.
2. ფაკულტეტის საარჩევნო სია გადაეცემა საარჩევნო კომისიას.

მუხლი 9. კანდიდატთა რეგისტრაცია

1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 7 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 1 დღის განმავლობაში.

2. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს გაცნობიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს 1 დღის განმავლობაში.

მუხლი 10. არჩევნების პროცედურა

1. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას ამტკიცებს საარჩევნო კომისია.
2. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
3. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:
ა) შესაბამისი ფაკულტეტის სახელწოდება;
ბ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.
4. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე, მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.
5. კენჭისყრის დღეს ფაკულტეტის ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. ხმის მიცემა ხორციელდება სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველ ერთ კანდიდატურას, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

მუხლი 11. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს 10.00 საათზე და მთავრდება იმავე დღეს 17.00 საათზე.
2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ცალ-ცალკე, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.
3. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს. მიღებული ხმების დათვლა ხდება ცალ-ცალკე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.
4. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:
ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;
გ) თუ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურა;
დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
5. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:
ა) ფაკულტეტის ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
დ) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
ე) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 12. დამკვირვებელი

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების არა უგვიანეს 3 დღით ადრე მიმართონ საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.
2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.
3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:
ა) ასარჩევი კანდიდატი;
ბ) ადმინისტრაციული პერსონალის წევრი;
გ) იმ ფაკულტეტის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.
4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიის მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრის განხილვის პროცესში. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა.
5. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.
6. საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

მუხლი 13. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ წესით დადგენილი პროცედურის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:
ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;
ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;

გ) დარღვევის შინაარსი;
დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;
ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;
ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;
ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 14. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.

მუხლი 15. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.
2. საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს იგი და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

მუხლი 16. საბოლო შედეგების გამოქვეყნება

1. საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებს ამტკიცებს შემაჯამებელი აქტით.
2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 17. სენატის პირველი სხდომის მოწვევა

სენატის პირველ სხდომას იწვევს რექტორი, საბჭოს არჩევნებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.